№44(45) 8.11.1991

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი — ფასი 40 კაპიკი — საქართველოს მენეჯერთა კავშირი



გია ახალაძის ფოტო

## დასაწყისი

რომ შეჯიბრებაზე დიდი რაოდენობით უშუისტმა მოიყარა თავი, რაც იმის ნიშანია, რომ რესპუბლიკაში სპორტის ეს სახეობა პოპულარულია. სართიჭალის გუნდის კარგი გამოსვლა, ნამდვილი აღმოჩენა იყო.

ძირითადად, ჩემპიონატმა თბილისელთა უპირატესობით ჩაიარა, რაც ბუნებრივია, რადგან გუნდს წარმოადგენდნენ 1980 წელს, თბილისელი ჩინელის, სიუენ ჩჟო შანის მიერ დაარსებული „შაოლინ-სი ჩუან-ფა"-ს სკოლის წარმომადგენლები.

ტექნიკაში გათამაშდა მედლების სამი კომპლექტი და სამივე ტურნირის მასპინძლებს ხვდათ. „ჩან-ციუანის" (გრძელი მუშტი) ილეთები ყველაზე უკეთ შეასრულა არჩილ მაძღარაშვილმა, „ნან-ციუანში" (სამხრეთული მუშტი) საუკეთესო იყო ზაზა თათარაშვილი, ხოლო „ტაი-ციცუანში" (გზა ზევით) პირველობა გიორგი ჭილლაძემ მოიპოვა.

საინტერესოდ ჩაიარეს ორთაბრძოლებმა (სანდა) სპორტსმენები ასპარეზობდნენ დამცავი ნიღბებით და მოკრივეთა ხელთათმანებით. ნებედართულია ფეხით დარტყმაც. 60კგ-მდე წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა რუსთაველი ვაჟა ფრიდონაშვილი. 65კგ-მდე — თბილისელი თემურ შაშინაშვილი, 70კგ-მდე — ქუთაისელი გიორგი რიჟამაძე, 75კგ-მდე წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო თბილისელი ზვიად ბუჩუკური.

ჩემპიონატს ჰყავდა სპონსორები, რომელთა დამსახურებაა, რომ გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი პრიზები.

დაახლოებით 100 სპორტსმენი ჩაება უშუში საქართველოს პირველი ჩემპიონატის მედლებისათვის ბრძოლაში. თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე მასპინძლებთან ერთად პირველობისთვის იბრძოდნენ ფოთელი, ქუთაისელი, თელაველი, რუსთაველი, სოხუმელი, ოზურგეთელი, მცხეთელი და სართიჭალელი ოსტატები.

შეჯიბრების პროგრამა შეესაბამებოდა უშუს საერთაშორისო ფედერაციის მიერ მსოფლიო ჩემპიონატებისთვის დამტკიცებულ პროგრამას — თქვა რესპუბლიკის უშუს ფედერაციის პრეზიდიუმის წევრმა მერაბ გოგლიჩიძემ. — მასში შედიოდა ტექნიკის დემონსტრირება და ორთაბრძოლები. თუ პირველ სახეობაში სპოტსმენებმა საკმაოდ მაღალი მომზადების დონე გამოავლინეს, მეორეში მათ ოსტატობა არ ეყოთ. სასიამოვნოა,



გია ახალაძის ფოტო

თურქეთის პარლამენტში 460 წევრი აირჩევა. მათგან ათი — ქართული წარმოშობისაა, ამ ათიდან სამი კი მინისტრის თანამდებობას დაიკავებს. მარჯვენა სურათზე ერთ-ერთ მათგანს, სპორტის მინისტრის თანამდებობაზე უმთავრეს კანდიდატს, DYP (დოღრუ იოლ ფართისი) სწორი გზის პარტიის წარმომადგენელ ბატონ რეფაიდდინ შაჰინს ხედავთ. მისი მამა აჰმედ ლორთქიფანიძე ყოფილა, დედა კი — აიშე ბოლქვაძე.

ქვედა სურათზე კი ქართველ მოკრივეთა ერთი ჯგუფია გადაღებული. თურქეთში მათი ტურნეს შესახებ მასალა იხილეთ მე-3 გვერდზე.



## ცოტა რამ კრივზე...



## პირველი ქართველი ევერესტზე

დღემდე ქართველი მთამსვლელი რვა ათას მეტრზე მაღლა არ ასულა. და აი, როგორც თბილისელმა ალპინისტებმა შეგვატყობინეს, ბატონმა რომან ჭიუტაშვილმა კატმანდუდან დარეკა, რის შედეგადაც ცნობილი გახდა, რომ იგი პირველი ქართველი სპორსტმენია, რომელმაც მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი — ევერესტი (8848 მ) დაიპყრო. ბატონი რომანი ჰიმალაიში რუსეთის ერთ-ერთ გუნდთან ერთად იმყოფებოდა.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში გასაწევრიანებლად 1991 წლის 8 ნოემბერს, 11-დან 17 საათამდე გთხოვთ მობრძანდეთ ჟურნალ „მართვეს" რედაქციაში (თბილისი, მ.კოსტავას 14).

თან იქონიეთ ცნობა სამუშაო ადგილიდან, 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4 სმ).

## მომავალ შეხვედრამდე, ტაპი

გასულ ოთხშაბათს თამამად შეგვეძლო ვეწოდოთ საფრანგეთის ფეხბურთის „შავი დღე". ოთხი ფრანგული გუნდიდან, რომელიც გუშინწინ ევროპის საკლუბო ტურნირების მეორე წრის განმეორებით მატჩებს ატარებდა, შემდეგ ეტაპზე ვერცერთი ვერ გავიდა. შეჯიბრებას გამოეთიშნენ „კანი", „ლიონი", „ოსერი" და ფინანსური მაგნატის ბერნარ ტაპის გუნდი „მარსელი". საფრანგეთის ერთადერთი დარჩენილი გუნდი — „მონაკო" თასების თასის მეოთხედფინალში ითამაშებს. „მონაკომ" სამშაბათს დაამარცხა შვეციის „ნორჩეპინგი" — 1:0.

ევროპის ჩემპიონთა თასის წინა გათამაშების ფინალისტს და საფრანგეთის ჩემპიონს „მარსელს" პირველი მატჩი შინ მოგებული ჰქონდა პრაღის „სპარტასთან" ანგარიშით 3:2. განმეორებით შეხვედრაში, რომელსაც 35 ათასი მაყურებელი დაესწრო, მასპინძლები თავიდანვე შეტევაზე გადავიდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მეკარე ოლმეტას კართან. უნდა აღინიშნოს, მეტოქეს არც ფრანგები ჩამორჩებოდნენ და საკმაოდ ხშირად უტევდნენ „სპარტის" კარს. ანგარიში მასპინძლებმა 37-ე წუთზე გაიხსნეს — გოლი ფრიდეკმა გაიტანა. მეორე ტაიმში, მატჩის 68-ე წუთზე სიგლმა, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა მასპინძელთა რიგებში მეორეჯერ აიღო „მარსელის" კარი. ფრანგებმა მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხეს (პელე 86-ე წუთი) და დამარცხდნენ 1:2.

ასევე სტუმრად გატანილი გოლი „დაეხმარა" ესპანეთის ჩემპიონს „ბარსელონას", კატალონიელები, რომლებმაც პირველი მატჩი „კაიზერსლაუტერნთან" მოიგეს (2:0), განმეორებით შეხვედრაში უღიმღამოდ გამოიყურებოდნენ ესპანელი მიმომხილველების აზრით, ასე ცუდად „ბარსელონას" წლევანდელ სეზონში არ უთამაშია. „კაიზერსლაუტერნმა" საკმაოდ ადვილად გაიტანა ორი გოლი (ორივე დემირ ჰოტიჩის ანგარიშზეა), ხოლო მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მესამეც დაამატა (ბურთი დანიელმა ბიარნე გოლდბეკმა გაიტანა). მასპინძლებმა მატჩი მოგებულად ჩათვალეს და კიდევაც დაისაჯნენ ამისათვის — ბოლო წუთზე „ბარსელონის" ტანმორჩილმა თავდამსხმელმა ხოსე მარი ბაკერომ დაასწრო მცველებს და თავური დარტყმით გაიტანა გოლი, რომელმაც სტუმრები შემდეგ წრეში გაიყვანა.

დამატებითი დრო დაინიშნა ლონდონის „არსენალისა" და ლისაბონის „ბენფიკის" შეხვედრაში, ძირითად დროში ინგლისელი პეიტსის გოლს სტუმრებმა ბრაზილიელი იზაიაშის ბურთით უპასუხეს, დამატებით დროში საბჭოთა ფეხბურთელის კულკოვის და ისევ იზაიაშის გოლებმა გამარჯვება პორტუგალიელებს მოუტანეს.

თასების თასზე ბრძოლას გამოეთიშა თასის ამჟამინდელი მფლობელი, ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი". ინგლისელთა წინაშე რთული ამოცანა იდგა — მათ მადრიდის „ატლეტიკოს" კარში სამი უპასუხო გოლი უნდა გაეტანათ. მათ სწრაფად გახსნეს ანგარიში (ჰიუზი), მაგრამ მეტი ვერაფერი მოახერხეს „ატლეტიკო" აშკარად სჯობდა „მანჩესტერს" და მატჩის მოგებაც შეეძლო, მაგრამ ფრეს დასჭირდა. საპასუხო ბურთი საჯარიმო დარტყმით გერმანელმა ბერნად შუსტერმა გაიტანა.

უეფას თასზე ინგლისის „ლივერპულმა" დასძლია საფრანგეთის „ოსერის" წინააღმდეგობა და სტუმართა კარში სამი უპასუხო ბურთის გატანა. პირველ ტაიმში თავი გამოიჩინეს მოლბიმ (პენალტით) და მარშმა. მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ფრანგები ათნი დარჩნენ — მოედნიდან გააძევეს მცველი დარასი. „ლივერპულმა" გადამწყვეტი გოლი მატჩის ბოლო წუთებში გაიტანა (უოლტერსი).

ახლა ჩემპიონთა თასზე დარჩენილი 8 გუნდი ორ ჯგუფად დაიყოფა და ბრძოლის წრიული სისტემით გააგრძელებს. პირველი ორი ტური 27 ნოემბერს და 11 დეკემბერს ჩატარდება. ამავე დღეებში გაიმართება უეფას თასის მერვედფინალური შეხვედრები, ხოლო თასების თასის მორიგი წრის მატჩები გაზაფხულზე გაიმართება.

### ჩემპიონთა თასი
#### მერვედფინალი

| | | |
|---|---|---|
| „გიოტებორგი" (შვეცია) — „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) | 2:2 | (0:2) |
| „სპარტა" (ჩეხოსლოვაკეთი) — „მარსელი" (საფრანგეთი) | 2:1 | (2:3) |
| „ანდერლეხტი" (ბელგია) — „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) | 2:0 | (0:0) |
| „ბრონდბიუ" (დანია) — „დინამო" (კიევი) | 0:1 | (1:1) |
| „სამპდორია" (იტალია) — „ჰონვედი" (უნგრეთი) | 3:1 | (1:2) |
| „კაიზერსლაუტერნი" (გერმანია) — „ბარსელონა" (ესპანეთი) | 3:1 | (0:2) |
| „არსენალი" (ინგლისი) — „ბენფიკა" (პორტუგალია) | 1:3 | (1:1) |
| „აპოელი" (კვიპროსი) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) | 0:2 | (1:3) |

### თასების მფლობელთა თასი
#### მერვედფინალი

| | | |
|---|---|---|
| „პორტუ" (პორტუგალია) — „ტოტენჰემი" (ინგლისი) | 7.XI | (1:3) |
| „მანჩესტერ იუნ." (ინგლისი) — „ატლეტიკო" (მადრიდი,ესპანეთი) | 1:1 | (0:3) |
| „ბრიუგე" (ბელგია) — გკს (პოლონეთი) | 0:0 | (1:0) |
| „რომა" (იტალია) — „ილვესი" (ფინეთი) | 5:2 | (1:1) |
| „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) — „სიონი" (შვეიცარია) | 0:0 პ. 5:3 | (0:0) |
| „ფერენცვაროში" (უნგრეთი) — „ვერდერი" (გერმანია) | 0:1 | (2:3) |
| „მონაკო" (საფრანგეთი) — „ნორჩეპინგი" (შვეცია) | 1:0 | (2:1) |
| „ბანიკი" (ჩეხოსლოვაკეთი) — „გალათასარაი" (თურქეთი) | 1:2 | (1:0) |

### უეფას თასი
#### მეთექვსმეტედფინალი

| | | |
|---|---|---|
| „ბაიერნი" (გერმანია) — „ბკ-1903" (დანია) | 1:0 | (2:6) |
| „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „უტრეხტი" (ჰოლანდია) | 1:0 | (3:1) |
| „აინტრახტი" (გერმანია) — „გენტი" (ბელგია) | 0:1 | (0:0) |
| „სელტიკი" (შოტლანდია) — „ქსამაქსი" (შვეიცარია) | 1:0 | (1:5) |
| „ტორპედო" (მოსკოვი). — „სიგმა" (ჩეხოსლოვაკეთი) | 7.XI | (0:2) |
| „შტუტგარტი" (გერმანია) — „ოსასუნა" (ესპანეთი) | 2:3 | (0:0) |
| „ბოავიშტა" (პორტუგალია) — „ტორინო" (იტალია) | 0:0 | (0:2) |
| „ტრაბზონსპორი" (თურქეთი) — „ლიონი" (საფრანგეთი) | 4:1 | (4:3) |
| „დინამო" (მოსკოვი) — „კანი" (საფრანგეთი) | 1:1 | (1:0) |
| „ტიროლი" (ავსტრია) — პაოკ (საბერძნეთი) | 2:0 | (2:0) |
| „ლივერპული" (ინგლისი) — „ოსერი" (საფრანგეთი) | 3:0 | (0:2) |
| „სტიაუა" (რუმინეთი) — „ხიხონი" (ესპანეთი) | 7.XI | (2:2) |
| „დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ჯენოა" (იტალია) | 2:2 | (1:3) |
| აეკ (საბერძნეთი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 2:1 | (0:0) |
| ცსკა (ბულგარეთი) — „ჰამბურგი" (გერმანია) | 1:4 | (0:2) |
| „აიაქსი" (ჰოლანდია) — „როტ-ვაისი" (გერმანია) | 3:0 | (2:1) |

ჭადრაკი

# ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს

თქმა არ უნდა, დიდად გვატკინა გული მაია ჩიბურდანიძის დამარცხებამ მანილაში. ქართველ ქალთა საჭადრაკო სკოლას და ჩვენს დიდოსტატებს თითქმის სამი ათეული წელი არ დაუთმიათ დედოფლის გვირგვინი. ქართული ჭადრაკის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერება XX საუკუნის 60-80-იანი წლები.

იყო თუ არა გარდაუვალი დედოფლის ტახტის დათმობა? არა, არ იყო, თუმცა ბოლო ხანს მაია ჩიბურდანიძეს მსოფლიოში ბევრი ღირსეული მეტოქე გამოუჩნდა. ვფიქრობ, თავად მაია მეტი პასუხისმგებლობით რომ მოჰკიდებოდა თავის გამოსვლებს, მეტად გაჰფრთხილებოდა ჩემპიონობას, კიდევ კარგა ხანს ვერავინ ჩამოართმევდა პირველობას.

მანილაში შეჯიბრების დაწყებამდე მოსკოვშიც ბევრი ფიქრობდა, რომ ჩინელი დიდოსტატი ამაოდ დაშვრებოდა ჩემპიონთან ბრძოლაში. მაია ადვილად სძლევს სე ჟუნსო. როგორც ამბობენ, ბრძენი მიხეილ ბოტვინიკი არ იზიარებდა ამ აზრს. მაინც რა აძლევდა ეჭვის საფუძველს მსოფლიო ექსჩემპიონს?

მართალია, მაია ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ ბოლო ხანს არსად არ მოუნდომებია მთლიანად გამოევლინებინა თავისი მდიდარი შესაძლებლობები, ბოლომდე ებრძოლა. იგი თითქმის გადაეჩვია ქალებთან თამაშს. რამდენი წელიწადია მაიას პირველი ადგილი არ დაუკავებია ქალთა ტურნირში. ვაჟებთან შეჯიბრებებში ხშირად არაფრისმთქმელ ყაიმებს ჯერდებოდა. ასე თანდათან გადაეჩვია მთელი ძალით თამაშს, უშეღავათო ბრძოლას.

ალბათ ეს ჰქონდა მხედველობაში მიხეილ ბოტვინიკს, როცა საეჭვოდ მიაჩნდა მანილაში მაიას ადვილი გამარჯვება. პირიქით, ამბობდა, მძიმე ბრძოლა მოელისო.

ჩინელი დიდოსტატი, 21 წლის სე ჟუნი, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ შეჯიბრებას. ჩანს, საუცხოოდ შეისწავლა მაიას შემოქმედება, პარტიები, სადებიუტო რეპერტუარი. ფსიქოლოგიურადაც მზად იყო წარმატებისათვის. პრეტენდენტი დაუფარავად აცხადებდა, მე და მაიას გამარჯვების თანაბარი შანსი გვაქვსო. იგი მართლაც შესაშური შეუპოვრობით იბრძოდა თავისი შანსის გამოყენებისათვის და მიაღწია კიდეც მიზანს.

მაია ალბათ თავად გვიამბობს, შინ რომ დაბრუნდება, რა მოამზადა და როგორ მოემზადა ორთაბრძოლისათვის. შთაბეჭდილება კი ისეთია, რომ იგი არ იყო სათანადოდ მომზადებული. მხედველობაში გვაქვს არა მარტო წინასამატჩო მომზადება, არამედ საერთო მზადყოფნა ჩემპიონის ტიტულის დასაცავად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაია გადაეჩვია ნამდვილ, თავგამოდებულ ბრძოლას, რაც მუდამ თან ახლავს პირველობისაკენ სწრაფვას. ამან იჩინა თავი მანილაში, განსაკუთრებით — ორთაბრძოლის ფინალში.

მატჩის მსვლელობას რომ გაადევნებ თვალს, ძალაუნებურად მრავალი კითხვა წამოიჭრება. ორთაბრძოლა (მანილა, 26.09.-29.10.1991) ასე წარიმართა:

ჩიბურდანიძე — სე ჟუნი: 0,5:0,5, 1:1, 0,5:0,5, 1:2, 2:2, 3:2, 3,5:2,5, 4:3, 4:4, 4,5:4,5, 5:5, 5:6, 5,5:6,5, 5,5:7,5, 6:8, 6,5:8,5 (+2-4=9).

ის, რომ მაიამ უფერულად დაიწყო მატჩი, არავის გაჰკვირვებია. იგი საერთოდ ასე იწყებს შეჯიბრებას. არც ის იყო გასაკვირი, რომ ჩემპიონმა მაშინვე აიღო რევანში და მერე დაწინაურდა კიდეც. მისთვის ესეც დამახასიათებელია. მაგრამ ის, რომ მაიამ ვერ შეინარჩუნა უპირატესობა, მის შემდგომ განმტკიცებაზე რომ არაფერი ვთქვათ, აუხსნელი რჩება. დაიღალა? იქნებ სე ჟუნმა შეურყია რწმენა თავისი ჯიუტი ხასიათით, შეუპოვარი წინააღმდეგობით?

მაია კარგა ხანია გადაეჩვია ძალთა მობილიზებას კრიტიკულ სიტუაციაში. ამიტომაც ფინიშზე, როცა მატჩის ბედი დასკვნით ექვს პარტიაში წყდებოდა, მან ვერ გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე, ვერ მოერია საკუთარ თავს. შეცდომები საბედისწერო აღმოჩნდა. მეთერთმეტე პარტიაში, სადაც პირველად გამოიყენა სიცილიური დაცვა, დებიუტიდან გამოსვლისთანავე ჩემპიონი უხარისხოდ დარჩა (კუში ეტლი წააგო), მეცამეტე შეხვედრაში პაიკის დროებითი შეწირვით იგი ინიციატივას დაეუფლა, მაგრამ ვერ შეძლო მისი განვითარება. სე ჟუნი მედგრად იცავდა თავს, მოთმინებით იგერიებდა მუქარას და თან მეტოქეს მოიერიშე ფიგურებს უცვლიდა. როცა მაიას ლაშქარი დაიცხრილა, ჩინელი დიდოსტატის მატერიალური უპირატესობა ცხადი შეიქნა.

ორმა წაგებამ დიდ განსაცდელში ჩააგდო მაია. მეთოთხმეტე პარტიამ ცხადყო, რომ ჩემპიონი ნამდვილად არ იყო საბრძოლო ფორმაში. უკეთეს პოზიციაში მას ფიგურის დაკარგვა გამორჩა. ინგლისელმა დიდოსტატმა ენტონი მაილსმა, რომელიც საგანგებოდ ჩავიდა მატჩზე დასასწრებად, მაიას შეცდომების გამო თქვა: „ეს პანიკური სვლაა. შეცდომა უფრო იმიტომ არის დასანანი, რომ მაია უკვე ახლოს იყო პოზიციური უპირატესობის მოპოვებასთან.“ მაიამ ეს პარტია მაინც ყაიმით დაამთავრა, მაგრამ ცხადი შეიქმნა, რომ ჩემპიონობას იგი ვეღარ შეინარჩუნებდა.

რამდენიმე სიტყვა მაიას მწვრთნელებზე. მანილაში მას ახლდნენ მუდმივი მწვრთნელი, დიდოსტატი გენადი კუზმინი (ლუგანსკი) და დიდოსტატი ვიტალი ცეშკოვსკი (კრასნოდარი), რომელიც თავად მიიწვია. თუ როგორ მუშაობდნენ მწვრთნელები, ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით. სამწუხაროდ, არც ის ვიცით, როგორ ამზადებდნენ მატჩისთვის მაიას. იმედია, ახლა მაინც მოსთხოვენ მათ გაწეული მუშაობის ანგარიშს, მაიას თამაშისა და, საერთოდ, მატჩის პერიპეტიების შეფასებას.

ცნობილია, რომ მაიას ერთ-ერთ მწვრთნელად მიწვეული იყო თბილისელი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი, მაგრამ მერე მას რატომღაც უარი უთხრეს. ეს ნიჭიერი დიდოსტატი გარი კასპაროვის პირველი სეკუნდანტი იყო ანატოლი კარპოვთან ამასწინანდელ მატჩში. მაშ, საკითხავია, ნუთუ იგი მაიას ვერ დაეხმარებოდა? იქნებ მისი სეკუნდანტობა არ ეჭაშნიკებოდა გენადი კუზმინს?

ერთი სიტყვით, მანილის მატჩი მრავალ კითხვას სვამს სპეციალისტებისა და ქართული ჭადრაკის ხელმძღვანელთა წინაშე. ყველა ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რათა ვიცოდეთ, მომავალში როგორ ვიბრძოლოთ ტახტის დასაბრუნებლად. მართალია, ზოგს არ სჯერა, რომ ამას შევძლებთ. მაგალითად, გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ (30 ოქტომბერი) წერს: „შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველ ქალთა საჭადრაკო სკოლის მონოპოლია დამთავრდა“. მე მჯერა, რომ ჩვენს დიდოსტატ ქალებს — ნიჭიერთა და გამოცდილთ — შესწევთ უნარი კვლავაც მაღლა ატარონ ქართული ჭადრაკის დროშა. ოღონდ, საჭიროა უფრო დიდი ძალისხმევა, მეტი ლტოლვა გამარჯვებისაკენ.

ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს!

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი

რაგბი

# „საკუთარმა კედლებმაც“ არ გაჭრა

## მსოფლიო თასის მეორე გათამაშება

## ფინალი

ლონდონი. თვიქნემის სტადიონი. 2 ნოემბერი

**60 000 მაყურებელი**

ინგლისი — ავსტრალია 6:12 (0:9)

ინგლისი:

ჯონათან ვები; საიმონ ჰელიდეი, ვილ ქარლინგი (კაპიტანი), ჯერემი გასქოთი, რორი ანდერვუდი, რობ ენდრიუ, რიჩარდ ჰილი; ჯეისონ ლენარდი, ბრაიან მური, ჯეფ ფრობინი; მიქ სქინერი, ვეიდ დული, ფოლ ექფორდი, ფითერ ვინთერბოთომი; მაიქ თიგი.

2 საჯარიმო: ჯონათან ვები (№15) — 63,71წთ.

ავსტრალია:

მართი რობაქი; დევიდ ქემფიზი, ჯეისონ ლითლი, თიმ ჰორნი, რობერთ ეჯერთონი; მაიქლ ლაინაფი, ნიქ ფარ-ჯოუნზი (კაპიტანი); თონი დეილი, ფილ ქერნსი, იუან მაქქენზი; საიმონ ფოიდევინი, ჯონ ილსი, როდ მაქქოლი, ვილი ოფაჰენგავე; თროი ქოქერი.

1 ლელო — ვილი ოფაჰენგავე (№7) — 30წთ, 1 გარდასახვა, 2 საჯარიმო — მაიქლ ლაინაფი (№10). — 27,69წთ.

მსაჯი: დერიქ ბევანი (უელსი)

მეტოქეები ფინალამდე სხვადასხვაგვარად მოვიდნენ. თუ ავსტრალიელებმა ერთიმეორეზე ეფექტურად და ლამაზად დაამარცხეს ყველა მეტოქე, ინგლისს ერთი მატჩი წაგებული ჰქონდა, ხოლო დანარჩენები — მცირე უპირატესობით და გაჭირვებით მოგებული.

მატჩმა მთელი ინგლისის სპორტული საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. საფეხბურთო ლიგის მატჩებიც უჩვეულო დროს, დილას დაიწყო, რათა ფინალის დაწყების დრომდე დამთავრებულიყო და სპორტის მოყვარულებს მის ცქერაში ხელი არ შეშლოდათ.

ინგლისელებმა ფინალში უარი თქვეს წინა შეხვედრებში არჩეულ ტაქტიკაზე და სულ სხვა გუნდად მოევლინება მეტოქესაც და მრავალრიცხოვან მაყურებელსაც. შერკინებებში და აუტებში მასპინძლებმა დაჩაგრეს ზორბა ავსტრალიელები და უპირატესობაც მიიღეს. ამას „ვოლაბების“ ორი წამყვანი მოთამაშის დაშავება დაერთო.

მიუხედავად ამისა, ავსტრალიელებმა მაინც პირველებმა იმარჯვეს და ლაინაფმა თითქმის მოედნის კიდიდან საჯარიმო გაიტანა. მალე მაქქენზიმ და დეილიმ ძალით შეიყვანეს ლელოში ოფაჰენგავე და მანაც დაამიწა ბურთი. ლელო კი ლაინაფმა გარდასახა.

ინგლისელთა მცველი ვები, ეტყობა, დააბნია მოვლენათა ამგვარმა მსვლელობამ და ზედიზედ ორი გასატანი საჯარიმო ააცდინა კარს. შესვენების შემდეგ კი მასპინძლები გონს მოეგენ და მწვავედაც შეუტიეს. მორკინალები ნებისმიერ სიტუაციაში იგებდნენ ბურთს და საძმეოთხედელებს აწვდიდნენ, ეს უკანასკნელნი კი კარგად ბურთაობდნენ და შედეგსაც მიაღწევდნენ, რომ არა „ვოლაბების“ საუცხოო დაცვა. ავსტრალიელები დროულად ბოჭავდნენ მეტოქეს და ისე გაერთნენ ამით, რომ პირველი ხაზის დიდგაბარიტიანმა მორკინალებმა ინგლისის შუამარბების და გარემარბების შეჩერება იწყეს. ამ დროს ვებმა ორი საჯარიმო შეაგდო, ენდრიუს არეკნი გაუცუდდა, ხოლო მანამდე ლაინაფმა საჯარიმო გაიტანა და თავის გუნდს მსოფლიო თასი მოაპოვებინა.

საპატიო პრიზი — რაგბის მომგონის, უილიამ უებ ელისის სახელობის თასი ავსტრალიელთა კაპიტანს ნიქ ფარ-ჯოუნზს თავად ინგლისის დედოფალმა გადასცა.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროების ტრადიციული დავა ამჯერადაც სამხრეთელთა გამარჯვებით დასრულდა. ჩრდილოელებს 1995 წლამდე მოუწევთ ცდა. მაგრამ, ალბათ, მაშინაც გაუჭირდებათ რევანში: მსოფლიოს თასის მომავალი გათამაშება, წესით, სამხრეთ ნახევარსფეროში უნდა მოეწყოს. ამ ტურნირის მასპინძლობა ახალ ზელანდიას, არგენტინას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას სურთ. რომელს შეხვდება ეს საპატიო უფლება, აპრილში გაირკვევა.

ფეხბურთი

# „მე ცხადაძეს მივცემ შანსს“

სულ ცოტა ხანში საბოლოოდ გაირკვევა ევროპის მომავალი ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მონაწილე გუნდების ვინაობა. სასწაული უნდა მოხდეს, რომ მათ რიცხვში არ შევიდეს საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომლის მთავარი მწვრთნელი, ანატოლი ბიშოვეცი, ჩვენი თანამოსაუბრეა.

**— როგორია თქვენი პროგნოზი, როგორ წარიმართება ევროპის ჩემპიონატი და ვიხილავთ თუ არა რაიმე სიახლეს?**

— საკმაო ხანია ახალი აღარაფერი თქმულა ევროპისა და თუნდაც მსოფლიო ჩემპიონატებზე. ვხედავთ მხოლოდ ცნობილი სქემების სხვადასხვა ინტერპრეტაციას. მაგრამ შვეციაში შეიძლება მოხდეს რაღაც აღმოჩენა. ამის იმედს გვაძლევს ახალი ტალღა საფრანგეთსა და გერმანიაში. მიხელსის ჰოლანდიას კი ყოველთვის შესწევდა უნარი რაიმე ახალის თქმისა. არ გამოვრიცხავ, რომ შვეციის ნაკრებმა შეიძლება შემოგვთავაზოს სიურპრიზი. ერთი სიტყვით, ჩემპიონატზე მართლაც რომ ღირსეული გუნდები ითამაშებენ და მათ ჭიდილში შეიძლება (თუმცა დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი) იშვას რაიმე ახალი. ერთი რამ კი ცხადია — ჩემპიონატი უაღრესად საინტერესო იქნება.

**— როგორია თქვენი დამოკიდებულება ფეხბურთის წესების შეცვლის მიმართ?**

— მიმაჩნია, რომ მთლიანობაში ფეხბურთის წესები სრულყოფილია. თუმცა გარკვეულ ეტაპზე სასარგებლოა ის სიახლეები, რომლებიც მიმართულია უხეშობის და დროის გაყვანის ტაქტიკის წინააღმდეგ და რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ თამაშის ტემპის გაზრდას. აი, მაგალითად, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აპირებენ აკრძალონ საკუთარი მეკარისთვის უკან ბურთის მიწოდება. შეიძლება, ამან მართლაც იმოქმედოს დროის გაჭიანურებაზე. მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ უკვე იყო სხვადასხვა შეზღუდვები მეკარის მოქმედებებისა (4 წამის წესი, 3 ნაბიჯის წესი და სხვა), მაგრამ მათ შედეგი არ გამოუღიათ. ისინი ნაკლებად ეფექტურები აღმოჩნდნენ. მთლიანობაში ვთვლი: პატარ-პატარა შესწორებები შეიძლება შევიტანოთ წესებში, მაგრამ, ვიმეორებ, ეს შესწორებები არ უნდა ატარებდნენ კარდინალურ ხასიათს.

**— როგორ შეხვდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შარშანდელ გადაწყვეტილებას?**

— პირადად მე, ცოტა არ იყოს, მომენატრა თბილისის „დინამო“. როგორც ნაკრების მწვრთნელს, რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებს ის ფაქტი, რომ ქართველ ფეხბურთელებს ვერ ვიწვევ გუნდში. თქვენმა გასვლამ, გარკვეულწილად, გაალარიბა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და მთლიანად საბჭოთა ფეხბურთი. არ ვიცი, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატი, ვინაიდან დრო აღარ მრჩება თქვენთან ჩამოსასვლელად. ამავე მიზეზით, კარგა ხანია აღარ მინახავს ჩემი მრავალრიცხოვანი თბილისელი მეგობრები.

**— ამას არ შეუშლია ხელი თქვენთვის მოგეწვიათ ნაკრებში კახი ცხადაძე—**

— ნაკრებში უკვე თამაშობდა საქართველოს წარმომადგენელი ცვეიბა, რომელიც კიევის „დინამოდან“ მოვიწვიეთ. რაც შეეხება ცხადაძეს, იგი შვეციის „სუნდსვალიდან“ მოვიდა ნაკრებში. კახიმ მხოლოდ იმიტომ არ ითამაშა უნგრეთთან და იტალიასთან, რომ მას მცირე ტრავმა ჰქონდა. მისი ახლანდელი სპორტული ფორმით კმაყოფილი ვარ.

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ნოდარ ახალკაცმა, ცხადაძის საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიწვევის გამო, პროტესტით მიმართა კოლოსკოვს.**

— ჩვენ დავუკავშირდით ფიფა-ს ხელმძღვანელობას და ციურიხიდან ასეთი შინაარსის პასუხი მივიღეთ: საქართველო ჯერჯერობით საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილია, ხოლო პირადად ცხადაძე არ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ფედერაციისგან გასულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. ამიტომაც ჩვენ ყველა იურიდიული უფლება გვაქვს ვათამაშოთ ცხადაძე საბჭოთა ნაკრებში. პირადად ჩემგან დავამატებ, რომ ცხადაძეს შანსი აქვს მიიღოს მონაწილეობა ყველა ფეხბურთელისთვის სანატრელ შეჯიბრებაში და არ ვაპირებ მას ეს შანსი დავუკარგო.

ზურაბ მეძველია,
„ქართული ფეხბურთის“ კორესპონდენტი
სპეციალურად „სარბიელისთვის“
მოსკოვი.

## ეროვნული ჩემპიონატი

XV ტური

მრეტები — მარგვეთი 1:1
გორდა — ოდიში 2:0
ალაზანი — ცხუმი 1:4
სამგურალი — ბათუმი 0:1
დილა — კოლხეთი-13 3:0
მერცხალი — ქუთაისი 1:0
მზიური — გურია 1:2
იბერია — კოლხეთი 4:2
შევარდენი-06 — ამირანი 1:0
სულორი — სამტრედია 4:1

„კოლხეთისა“ და „იბერიას“ მატჩი იბერიელთა თხოვნით ხობის ნაცვლად თბილისში გაიმართა.

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გორდა | 13 | 10 | 2 | 1 | 29:10 | 32 |
| 2. იბერია | 12 | 10 | 0 | 2 | 41:14 | 30 |
| 3. ცხუმი | 13 | 10 | 0 | 3 | 34:19 | 30 |
| 4. გურია | 13 | 9 | 1 | 3 | 35:18 | 28 |
| 5. ოდიში | 13 | 9 | 1 | 3 | 20:14 | 28 |
| 6. შევარდენი-06 | 13 | 7 | 1 | 5 | 21:17 | 22 |
| 7. სამტრედია | 13 | 6 | 1 | 6 | 23:24 | 19 |
| 8. მზიური | 13 | 6 | 1 | 6 | 14:21 | 19 |
| 9. სულორი | 13 | 5 | 2 | 6 | 19:22 | 17 |
| 10. ქუთაისი | 13 | 5 | 1 | 7 | 21:21 | 16 |
| 11. ბათუმი | 13 | 5 | 1 | 7 | 22:23 | 16 |
| 12. დილა | 13 | 5 | 1 | 7 | 17:19 | 16 |
| 13. სამგურალი | 12 | 5 | 0 | 7 | 12:17 | 15 |
| 14. მრეტები | 13 | 4 | 3 | 6 | 18:19 | 15 |
| 15. კოლხეთი-13 | 13 | 4 | 3 | 6 | 14:18 | 15 |
| 16. მარგვეთი | 13 | 4 | 3 | 6 | 18:25 | 15 |
| 17. ალაზანი | 13 | 4 | 1 | 8 | 11:27 | 13 |
| 18. კოლხეთი | 13 | 2 | 4 | 7 | 17:27 | 10 |
| 19. ამირანი | 13 | 3 | 0 | 10 | 15:22 | 9 |
| 20. მერცხალი | 13 | 2 | 2 | 9 | 13:37 | 8 |

გუშინ გაიმართა მე-9, გამოტოვებული ტურის მატჩები, რომელთა შედეგებიც ცხრილში გათვალისწინებული არ არის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა ზესტაფონის „მარგვეთისა“ და ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ზუგდიდის „ოდიშის“ მატჩში მომხდარი შემთხვევა. მე-14 ტურის ეს შეხვედრა ზუგდიდში გაიმართა. ჩვენს ცხრილში შეტანილია მასპინძელთა გამარჯვება 2:1, თუმცა არსებობს ანგარიშის მეორე ვარიანტიც — 2:2. საქმე ის გახლავთ, რომ თამაშის ბოლო წუთზე „მარგვეთის“ მიერ „ოდიშის“ კარში გატანილი გოლის შესახებ მსაჯებისა და მატჩის ინსპექტორის აზრი გაიყო. კომისიამ ეს საკითხი შემდეგი განხილვისთვის გადადო.

# ცოტა რამ კრივზე, უფრო ცოტა – თურქეთის პარლამენტზე და ორი უპასუხო შეკითხვა:
## რატომ ჰქვია ანკარას ანკარა? რატომ არა აქვს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს საკუთარი ფორმა?

Ანკარას ეს სახელი ქუჩა-ეზოების იდეალური სისუფთავის გამო რომ არ ჰქვია, ფაქტია — ამ თვალსაზრისით თურქეთის დედაქალაქი არაფრით სჯობია საქართველოსას. მაშ რატომ ანკარა? ხუმრობა იქით იყოს და მართლაც მინდოდა ამომეხსნა ეს „საიდუმლო“: რას ნიშნავს და რატომ დაარქვეს ქალაქს ანკარა, მაგრამ — უშედეგოდ. შეიძლება, ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად მე ყველაფერი არ გამიკეთებია, აი ჩვენს მასპინძლებს კი ნამდვილად არც უფიქრიათ მათთან სტუმრად ჩასულ საქართველოს მოკრივეთა ნაკრების წევრებისთვის ზედაპირულად მაინც გაეცნოთ თავიანთი ქალაქისა თუ ქვეყნის ისტორია და დღევანდელობა, თუნდაც ერთი ექსკურსია მოეწყოთ. თუმცა ეს ჩვენი მასპინძლების ერთადერთი ხარვეზი იყო და ისიც შეძლებისდაგვარად გამოასწორა თურქეთის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ბორის ყიფიანმა. ბატონი ბორისის პირადი ინიციატივითა და გულისხმიერებით შესაძლებელი გახდა ავტობუსით ქალაქში გასეირნება და ათათურქის მავზოლეუმის ნახვა...

საქართველოს ნაკრები ანკარა[illegible] თურქეთის კრივის ფედერაციამ იწვია. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნის ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება და ჩვენს მოკრივეებს მათთვის სპარინგ-პარტნიორობა უნდა გაეწიათ. როგორც თურქეთის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა არტიომ ლავროვმა (იგი კარგა ხანს საბჭოთა კავშირის ნაკრებს ხელმძღვანელობდა) აღნიშნა ახლა საქართველოში არაერთი ნიჭიერი მოკრივეა და მათთან შეხვედრები თურქ სპორტსმენებს სარგებლობას მოუტანდა.

ჩვენი კრივი დღეს მართლაც აღმავლობას განიცდის. სპეციალისტთა აზრით ამდენი ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ეს მარტო სიტყვები როდია, ჩვენმა ბიჭებმა საქმითაც დამტკიცეს, რომ ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ: რამაზ ფალიანი, კახა ბარავი და პაატა გვასალია ევროპის ჩემპიონები არიან ახალგაზრდებს შორის. ბარავმა თანატოლებში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც კი მოიპოვა და ამას საბჭოთა კავშირის ჩემპიონის (უფროსთა შორის) ოქროს მედალიც დაუმატა. საგულისხმოა ისიც, რომ საკმაოდ ფართოა ჩვენი ნაკრების გეოგრაფია, გუნდში იყვნენ მოკრივეები თბილისიდან (რუდიკ კაზანჯიანი, თამაზ წკრიალაშვილი, თამაზ ხდრიანი, კახა ბარავი, კახა ჩიქვინიძე, კოტე მაღრაძე, ნიკოლოზ დავლიანიძე, თემურ კალანდაძე), ქუთაისიდან (თენგიზ მესხაძე), ფოთიდან (კობა გოგოლაძე, პაატა გვასალია, ზურაბ სარსანია), ხობიდან (ბესო მანჯავიძე — გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი), მესტიიდან (ძმები რამაზ და ზურაბ ფალიანები), საჩხერიდან (ჯაბა ცუხიშვილი) და გორიდან (გიორგი კანდელაკი). გუნდს ხელმძღვანელობდნენ უფროსი მწვრთნელი სერგო ბერძენიშვილი, მწვრთნელები ტარიელ ვერულაშვილი, ბონდო მამულაშვილი და



საქართველოს ნაკრების მწვრთნელები ბონდო მამულაშვილი (მარცხნივ) და ტარიელ ვერულაშვილი სასტუმროს შესასვლელთან

სოზარ კულუა. მათ გარდა საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ ექიმი ვაჟა ციციაშვილი და ჟურნალისტი — ამ წერილის ავტორი.

მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებზეც რომ მნიშვნელოვნად იმოქმედა, არაერთხელ თქმულა და დაწერილა. უნებურმა თვითიზოლაციამ მათი მომზადების დონეზე უარყოფითი გავლენა იქონია. ეს ფაქტია, რომელსაც ზედმეტი მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ მე, ჩვენი მოკრივეების მაგალითზე ეს კიდევ ერთხელ ვიხილე საკუთარი თვალით. მიუხედავად დიდი მონდომებისა შეუძლებელია სრული მობილიზებით ივარჯიშო და მაღალი სპორტული კლასი შეინარჩუნო თუ სისტემატურად არ გიხდება შესაბამისი დონის შეჯიბრებებში მონაწილეობა. გამონაკლისს, ბუნებრივია, არც მოკრივეები წარმოადგენენ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჩვენი გუნდი თავისი რეალური შესაძლებლობების დონეზე მომზადებული არ ჩასულა თურქეთში. ამას დაუმატეთ ტურნეს ხასიათიც: ერთობლივი ვარჯიშები და სპარინგ-შეხვედრები და გასაგები გახდება რატომ იყო, რომ ჩვენებს მაინც აკლდათ საასპარეზო სულისკვეთება. თუმცა, ყოველივე ამას თურქებისთვის ხელი არ შეუშლია: ისინი არჩევდნენ



ჩვენი მასპინძლები (მარცხნიდან): მეჰმედ ზია აიასლანი, ბორის ყიფიანი და მუსტაფა გიუნდოქდუ.

მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების კანდიდატებს და, ვფიქრობ, მაინცდამაინც არც უნდოდათ მკაცრი „გამომცდელები“ ჰყოლოდათ. ასე თუ ისე მასპინძლებმაც გააკეთეს თავისი საქმე (ეს არტიომ ლავროვმა ხაზგასმით აღნიშნა) და სტუმრებმაც არ დაკარგეს დრო: გარდა იმისა, რომ რიგიანი შეკრება ჩატარეს, დეკემბერში ანკარის საერთაშორისო ტურნირზე მიწვევაც მიიღეს, რაც დღევანდელ პირობებში ჩვენი სპორტსმენებისთვის ერთობ მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა საფუძველი ჩაეყარა საინტერესო, უნდა ვივარაუდოთ, ორივე მხარისთვის სასარგებლო საქმიან კონტაქტებს, პირად ურთიერთობებს. ანკარაში ყოფნის დროს არაერთი გულთბილი კაცი გავიცანით, მაგრამ ნამდვილ მეგობრებად მოგვევლინენ თურქეთის მოკრივეთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, სპორტული კომპლექსის დირექტორი მუსტაფა გიუნდოქდუ და ფიზაღზრდის უნივერსიტეტის ძალოსნობის კათედრის მასწავლებელი მეჰმედ ზია აიასლანი.

ჩვენს მიმართ ყურადღება გამოიჩინა თურქეთის კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ორჰან ალთამ. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ წამოსვლის წინა საღამოს ბატონი ბორის ყიფიანი და მე თურქეთის პარლამენტის წევრის, სპორტის მინისტრის თანამდებობაზე ერთ-ერთი მთავარი კანდიდატის ბატონ რეფაიდდინ შაჰინის ოჯახში აღმოვჩნდით სტუმრად. ბატონი რეფაიდდინი არომატული ყავითა და ლაზათიანი, კოლორიტული... ქართულით გაგვიმასპინძლდა. როგორც აღმოჩნდა იგი ჩვენებურია, ლორთქიფანიძის გვარისა, დედა კი ბოლქვაძის ქალი ჰყოლია. მან სიამოვნებით გაგვაცნო თავისი მეუღლე, ქალ-ვაჟი და კანადიდან სტუმრად ჩამოსული უფროსი ძმა (სულ სამი ძმანი არიან), რომელიც ასევე ცდილობდა ქართულად ლაპარაკს და ყველაფერს გვაგებინებდა კიდეც, თავადაც ესმოდა ჩვენი, თუმცა უმცროს ძმას მაინც ვერ შეედრებოდა. სასიამოვნო საღამოს ბოლოს ბატონი რეფაიდდინი დაგვპირდა, რომ მეორე დღეს სასტუმროში გვეწვეოდა და გაგვაცილებდა. რაღა თქმა უნდა, სიტყვა საქმედ იქცა და მისი თავკაცობით მასპინძლებმა გულთბილი გაცილება მოგვიწყვეს. ბატონმა რეფაიდდინმა კი სიტყვა ჩამოგვართვა, რომ დავბრუნდებით ანკარაში და პირველივე დღეს დავუკავშირდებით მას. ღმერთმა გვისმინოს!

...ჩავსხედით ავტობუსში და შინისკენ გამოვემგზავრეთ, თურქეთის ნაკრები კი, სულ ცოტა ხანში, მსოფლიო ჩემპიონატზე წავა. არადა მათმა უფროსმა მწვრთნელმა არტიომ ლავროვმა ტურნეს ბოლოს მითხრა: „თუ ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დატრიალდა: კენჭისყრაც, მსაჯებიც და ფორტუნაც. შეიძლება ერთი ან უკეთეს შემთხვევაში ორი ბრინჯაოს მედალი მივიღოთ. ეს ძალიან დიდი წარმატება იქნება. ისეთი პოტენციის გუნდით კი, როგორიც თქვენ ახლა გყავთ, ოლიმპიურ თამაშებზეც შეიძლება წარმატებაზე ფიქრი“. გულდასაწყვეტია რომ მარტო — ფიქრი. იმასაც ვუშვებ, რომ არტიომ ლავროვი როგორც სტუმრებს ცოტა მოგვეფერა, გვასიამოვნა, მაგრამ მერწმუნეთ არც იმდენად, როგორც საქმეში ჩაუხედავ კაცს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს. ჯერ-ჯერობით, ჩვენი სპორტის საერთაშორისო სარბიელზე გასვლამდე სიტყვაზე უნდა მენდოთ, მერე კი... ასეთ [illegible] გულდასაწყვეტია. [illegible] გულდასაწყვეტია ისიც, რომ საქართველოს ნაკრების შემყურეს ძველი ქართული ანდაზა გამახსენდა: „ავხედავ, ცას შევხედავ, დავხედავ — მიწასაო“. დამთრგუნველია როცა ქვეყნისა და



საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, ნაკრების უფროსი მწვრთნელი სერგო ბერძენიშვილი

ერის სახელით გუნდი საერთაშორისო ტურნირზე სპეციალური ეკიპირების, თუნდაც უბრალო ფორმის გარეშე მიდის და ვინც რას მოახერხებს იმას იცვამს. თანაც ეროვნული სიმბოლიკის გარეშე...

# სტამბოლში მცხოვრები ბაქოელი ხვანჭკარელი ანკარაში
## ანუ შეხვედრა ბატონ ბორის ყიფიანთან

თურქეთის მოკრივეთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელის, ბატონ ბორის ყიფიანის შესახებ მის გაცნობამდე არაფერი ვიცოდი და პირველი რეაქცია, ბუნებრივია, პროფესიული ცნობისმოყვარეობა — მისგან ინტერვიუს აღების სურვილი იყო. მით უმეტეს, რომ იგი, რომ იტყვიან, ნამდვილი კაცური კაცი აღმოჩნდა. იგი ბაქოში დაიბადა და გაიზარდა. ქალაქში, სადაც მისი მამა, ხვანჭკარის მკვიდრი, რევოლუციის დროს ცხოვრობდა და შემდეგ იქვე დარჩა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ტკბილი ბავშვობა არავის ჰქონია. გამონაკლისი არც ბატონი ბორისი იყო. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მრავალმნიშვნელოვნად მითხრა მან და დასძინა: კრივის სექციაში მხოლოდ იმიტომ ჩავეწერე, რომ ჩხუბი მესწავლა და სხვებს მოვრეოდიო. მერე და მერე კრივი მისი ცხოვრების საქმე, პროფესია გახდა.

**— თურქეთში როგორ მოხვდით?**

— ამ ქვეყნის კრივის ფედერაციამ, როცა არტომ ლავროვი მოიწვია, მოინდომა, რომ მასთან ერთად საბჭოთა მწვრთნელთა მთელი ბრიგადა ჩამოსულიყო. მე უცხოეთში სამუშაოდ წამსვლელთა სიაში (წარმოიდგინეთ — ასეთიც არსებობდა) ერთ-ერთი პირველი ადგილი მეკავა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, რიგმა მომიწია. ჩემი ჯერი იყო.

**— აქ რაიმე პრობლემები ხომ არ შეგხვედრიათ?**

— სადაც ადამიანები ცხოვრობენ, იქ პრობლემებს რა გამოლევს. ისე კი რაიმე გლობალური სიძნელე არ შემხვედრია. მე ბაქოში გავიზარდე და აზერბაიჯანულად კარგად ვლაპარაკობ. ასე, რომ თურქულიც მალე ავითვისე და ხშირად თარჯიმანის ფუნქციასაც კი მაკისრებენ. ენის ცოდნაც მნიშვნელოვნად დამეხმარა აქაურ პირობებთან ადაპტაციის პერიოდში.

**— გამოდის, პოლიგლოტი ბრძანდებით: ქართული, აზერბაიჯანული, რუსული, თურქული...**

— ცოტა სომხურიც (იცინის).

**— მწვრთნელთა შორის თუ ხდება უთანხმოებანი?**

— უთანხმოება არა, აზრთა სხვადასხვაობა — საკმაოდ ხშირად. ჩვენ ყველას ჩვენი აზრი გვაქვს და ხშირად ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული. ეს ბუნებრივიცაა. ასეთ დროს ყველაფერი პროფესიულად, უმტკივნეულოდ გვარდება.

**— უშუალოდ თქვენს ფუნქციებში რა შედის? მწვრთნელთა მოვალეობები მკაცრად ფიქსირებულია?**

— არა. ჩვენ ძირითადად შექმნილი სიტუაციის, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით ვინაწილებთ ფუნქციებს ძირითადად კი ჩვენ-ჩვენი შეგირდები გვყავს და მათი მომზადების დონეზე ვაგებთ პასუხს.

**— კმაყოფილი ხართ თქვენი აღსაზრდელების მომზადების დონით?**

— ყველაზე ზუსტად გამოვხატავ ჩემს აზრს, თუ ვიტყვი რომ უკმაყოფილო არა ვარ. ჩვენი მიზანი მომავალი ოლიმპიადაა და ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატსაც ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპად განვიხილავთ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სრული სერიოზულობით არ ვმუშაობთ. აქ თ მთელი შესაძლებლობები არ ჩააქსოვე მუშაობაში, არავ[illegible] გაგაჩერებს.

**— საქართველოს ნაკრების ჩამოსვლამ გაამართლა თქვენი მოლოდინი?**

— დიახ, ეს შეხვედრები ძალიან სასარგებლო იყო ჩვენთვის მანამდე აქ მოსკოვის, რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდები იყვნენ ჩამოსული იგივე მისიით, მაგრამ ყველაზე დიდი სარგებლობა სწორედ საქართველოს ნაკრებთან შეხვედრამ მოგვიტანა.

**— სამომავლო კონტაქტები თუ არის პე[illegible]ქტივაში?**

— რა თქმა უნდა. საქართველო და თურქეთი ხომ მეზობლები არიან. დეკემბერში თქვენი გუნდი ისევ ჩამოვა ანკარაში, ამჯერად საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, წლის ბოლოს კი ჩვენ გესტუმრებით რამდენიმე სამატჩო შეხვედრის ჩასატარებლად. ეს უახლოესი გეგმებია...

**— თქვენი კონტრაქტი როდემდეა ძალაში?**

— მომავალ ოლიმპიადამდე, მერე კი... მერე ვნახოთ.

მე და ბატონი ბორისი ხშირად ვსაუბრობდით სხვადასხვა თემაზე. მე, რა თქმა უნდა ვცდილობდი მეტი გამეგო მის შესახებ და მოვახერხე კიდეც: თანამოსაუბრეც ენაწყლიანი გამოდგა და მისი ბიოგრაფიაც — საინტერესო, მაგრამ ერთ პატარა წერილში ყველაფერს ვერ ჩაატევ. ამიტომ, ბოლოსთვის შემოვინახე ის, რაც სხვადასხვა კონტექსტში არაერთხელ გაიმეორა და რაც ყველაზე მნიშვნელოვნად ჩავთვალე და მიუხედავად იმისა, რომ ამას მხოლოდ პირადი საუბრებისას ახსენებდა, მაინც გავბედავ და დავწერ: მისი უდიდესი ოცნება ხვანჭკარაში პატარა სახლის აშენება და სიბერის იქ გატარებაა...

მასალები და ფოტოები მოამზადა
**ზურაბ ფოცხვერიამ.**
ანკარა — თბილისი.

# უიღბლო ბოლო ეტაპი

ეს უკვე მერამდენედ, ბედი არ სწყალობს ფორმულა 1 ავტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპს — ავსტრალიის „გრან პრის" გათამაშებას, რომელიც ტრადიციულად ქალაქ ადელაიდას ქუჩებში ეწყობა.

ორი წლის წინ ფრანგმა პილოტმა ალენ პროსტმა უარი განაცხადა იქ ასპარეზობაზე კოკისპირული წვიმის გამო, რადგან ასეთ ამინდში რბოლა ეწინააღმდეგება საავტომობილო სპორტის ამ ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრების მონაწილეთა უსაფრთხოების წესებს. ეტაპს კი დაღი დაასვა ბრაზილიელ აირტონ სენასა და პროსტს შორის მომხდარმა კონფლიქტმა.

ამჯერად, უსიამოვნებანი რბოლამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო, როდესაც „ფერარის" ხელმძღვანელობამ დაარღვია პროსტთან დადებული კონტრაქტი. ამის მიზეზი გახდა ფრანგი პილოტის კრიტიკული შენიშვნები ახლანდელი „ფერარების" არასრულფასოვნების გამო. ამ „საჯინიბოს" საქმეები ცუდად წავიდა წლევანდელი სეზონის დასაწყისიდანვე, როცა შეიცვალა მაშინდელი კონსტრუქტორი. ამასთან, აქციების მთელი პაკეტი ფერარების ოჯახისაგან კონცერნმა „ფიატმა" შეისყიდა. ფირმის სპორტული განყოფილების უფროსად „ლანჩას" რალისტთა გუნდის ყოფილი შეფი ფიორიო დაინიშნა. მაგრამ არც იგი დარჩენილა დიდხანს ფორმულა 1-ის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის სათავეში. მონაკოს დიდ პრიზზე განცდილი მარცხის შემდეგ მან მმართველობა ახალ უფროსს კლაუდიოს ლომბარდის გადააბარა.

ასეთი რადიკალური ცვლილებების მიუხედავად, „ფერარის" საქმეები მაინც უკან-უკან მიდიოდა. საჭირო იყო ახალი „განტევების ვაცის" გამონახვა და აკი მოძებნეს კიდეც. მართალია, ჯერ კიდევ ზაფხულში „ფერარიმ" არაერთხელ განაცხადა, რომ პროსტთან და ჟან ალეზისთან კონტრაქტი 1992 წლის ბოლომდე იყო ძალაში, ფირმის ხელმძღვანელობამ მაინც გადაწყვიტა ყველაფრის პროსტზე გადაბრალება. თუმცა ამას სხვა სარჩული მოუნახეს: ფრანგ პილოტს ბრალად დასდეს გუნდის ავტორიტეტის შელახვა იმის გამო, რომ მან „ფერარის" ბოლო მოდელით ასპარეზობა სატვირთო მანქანით მგზავრობას შეადარა.

ორივე მხარეს ჯერ კიდევ მოუწევს სასამართლოში შეხლა-შემოხლა, რადგან პროსტი დათმობაზე წასვლას არ აპირებს და კონტრაქტის დარღვევისათვის კომპენსაციას ითხოვს. „ფერარის" კი სულაც არ ეპიტნავება მილიონების დაკარგვა.

„ფერარის" გუნდში ასეთი აურზაურის გარდა, ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებას თითქოს სხვა არაფერი ემუქრებოდა. საკვალიფიკაციო რბოლებიც ნორმალურად ჩატარდა. „მაკლარენის" პილოტებმა თავისი ძირითადი კონკურენტის, „უილიამსის" მრბოლელებზე უკეთესი შედეგები აჩვენეს და სტარტზე მოწინავე პოზიციები დაიკავეს — სენა ამჯერადაც პირველი იყო, მისი თანაგუნდელი, ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი კი — მეორე. შემდეგ მოდიოდნენ ინგლისელი ნაიჯელ მენსელი და ფორმულის ვეტერანი, იტალიელი რიკარდო პატრეზე.

მაგრამ, კვირას ძირითადი რბოლის დაწყებისას ისეთი თქეში წამოვიდა, რომ სულ მალე მანქანების გარჩევა შეუძლებელი გახდა. რამდენიმე წუთში „ქუჩის" ტრასა გუბეებით დაიფარა. „სტარტზე ჩვენი გამოსვლა დიდი შეცდომა იყო" — განაცხადა ფინიშის შემდეგ სენამ.

რბოლის დასრულებას კი დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი. სულ რაღაც ნახევარ საათში მსაჯებმა წითელი დროშა გამოფინეს და ასპარეზობაც შეწყდა. ამის მთავარი მიზეზი მაინც მენსელის ავარია გახდა: ერთ-ერთ მოსახვევში ბრიტანელი პილოტის „უილიამსი" მოცურდა და მთელი ძალით შეასკდა დამცავ ბარიერს. მანამდე ასეთივე ბედი ეწია ბერგერის „მაკლარენს". რბოლის შეწყვეტისას ტრასაზე 12 მანქანაღა „დაბობღავდა".

ამრიგად, გათვალისწინებული 81 წრის ნაცვლად შედეგები 14 წრის მიხედვით გამოიყვანეს და პილოტებს მოპოვებული ქულების მხოლოდ ნახევარი ჩაეთვალათ.

„რბოლა ჯერ კიდევ მე-10 წრეზე უნდა შეეწყვიტათ, როცა ტრასა თითქმის გაივსო ჩვენი მანქანების ნამტვრევებით — განაცხადა მენსელმა მას შემდეგ, რაც ძლივს გამოაღწია ჯართის გროვიდან, რომელიც ნახევარი საათის წინ ახალთახალი „უილიამსი" იყო.

„მე არასოდეს დამავიწყდება ეს კოშმარი" — წამოიძახა შეწუხებულმა ბრიტანელმა და აეროპორტს მიაშურა ისე, რომ არც პრიზიორთა დაჯილდოებაზე გამოცხადებულა და არც ტრადიციულ პრეს-კონფერენციაზე.



## აირტონ სენა

(ბრაზილია)

დაიბადა 1960 წლის 21 მარტს სან პაულუში, სიმაღლე 175 სმ, წონა 70 კგ.

როგორც იქნა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა აირტონ სენამ გაიმარჯვა ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებაში. თუმცა ამ წარმატებას ბრაზილიელი პილოტი მაინც და მაინც არ გაუხარებია, რადგან ადელაიდას წარღვნაში მთავარი იყო უავარიოდ გადარჩენა და ამ ორომტრიალიდან ცოცხლად გამოსვლა. სხვათა შორის, ბოლო წლებში ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც რბოლა წვიმის გამო ვადამდე წყდება. ასე იყო 1984 წელს მონტე-კარლოში და შარშანწინ იმავე ადელაიდაში, სადაც დაგეგმილი 81 წრის ნაცვლად რბოლას 70-ზე დაესვა წერტილი.

სენას მიერ წლეულს მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მეცხრე იყო „მაკლარენისთვის" და ამ მაჩვენებლით ინგლისური გუნდი გაუთანაბრდა იტალიურ „ფერარის", რომლის ოქროს ხანაც (50-70—იანი წლები) უკვე ისტორიას ჩაბარდა.

სადღეისოდ, სენას ანგარიშზეა 33 მოგებული ეტაპი და 481 ქულა, ამ შედეგებით იგი ახლა მხოლოდ ფრანგ ალენ პროსტს ჩამორჩება.

ავსტრალიის „გრან პრის" შედეგები. ადელაიდის ტრასა (14 წრე — 52,92 კმ). ერთ წრეზე საუკეთესო დრო — გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ — ჰონდა") 1.41,141 (134,545 კმ/სთ)

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი") — 24.34,899. (129, 170 კმ/სთ); 2. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი") — ჩამორჩა 1,259, 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენი") — 5,120; 4. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონი") — 30,103; 5. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამსი") — 50,537; 6. ჯანი მორბიდელი (იტალია „ფერარი") — 51,069; 7. ემანუელე პირო (იტალია, „დალარა") — 52,361; 8. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ჯორდანი") — 1.0,481; 9. ალესანდრო ძანარდი (იტალია „ჯორდანი" — 1.15,567; 10. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტირელი") — 1.20, 370; 11. ჯონი ჰერბერტი (დიდი ბრიტანეთი, „ლოტუსი") — 1.22,078; 12. ირკი ლეჰტო (ფინეთი, „დალარა") — 1.38, 519; 13. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფოდუორგი") — 1.39,303; 14. მაურიციო გუჟელმინი (ბრაზილია, „ლეიტონ-ილმორი") — ჩამორჩა 1 წრით; 15. ალექს კაფი (იტალია, „ფოდუორგი") — 1 წრით; 16. რობერტო მორენო (ბრაზილია, „მინარდი") — 1 წრით; 17. მარკ ბლანდელი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი") — 1 წრით; 18. ერიკ კომა (საფრანგეთი, „ლიჟიე") — 1 წრით; 19. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუსი") — 1 წრით; 20. კარლ ვენდლინგერი (ავსტრია, „ლეიტონ-ილმორი") — 2 წრით. კვალიფიკაცია ვერ მიიღეს: 21. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი") — მე-8 წრე, 22. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ბენეტონი") — მე-5 წრე; 23. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი") — მე-5 წრე; 24. ნიკოლა ლარინი (იტალია, „ლამბორჯინი") — მე-5 წრე; 25. ტიერი ბუტსენი (ბელგია, „ლიჟიე") — მე-5 წრე; 26. სატორუ ნაკაჯიმა (იაპონია, „ტირელი") — მე-4 წრე.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. მაკლარენი — 139; 2. უილიამსი — 125; 3. ფერარი — 55,5; 4. ბენეტონი — 38,5; 5. ჯორდანი — 13; 6. ტირელი — 12; 7. მინარდი — 6; 8. დალარა — 5; 9-10. ლოტუსი, ბრებჰემი — 3-3; 11. ლოლა — 2; 12. ლეიტონი — 1.

ბორის მიხაილოვი,
საკდესის კორესპონდენტი,
სპეციალურად „სარბიელისთვის".



| | | | აშშ | ბრაზილია | სან-მარინო | მონაკო | კანადა | მექსიკა | საფრანგეთი | ინგლისი | გერმანია | უნგრეთი | იტალია | ბელგია | პორტუგალია | ესპანეთი | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აირტონ სენა<br>ბრაზილია | მაკლარენი | 10 | 10 | 10 | 10 | — | 4 | 4 | 3 | — | 10 | 10 | 6 | 6 | 2 | 6 | 5 | 96 |
| 2 | ნაიჯელ მენსელი<br>დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | — | — | — | 6 | 1 | 6 | 10 | 10 | 10 | 6 | — | 10 | — | 10 | — | 3 | 72 |
| 3 | რიკარდო პატრეზე<br>იტალია | უილიამსი | — | 6 | — | — | 4 | 10 | 2 | — | 6 | 4 | 2 | — | 10 | 4 | 4 | 1 | 53 |
| 4 | გერჰარდ ბერგერი<br>ავსტრია | მაკლარენი | — | 4 | 6 | — | — | — | — | 6 | 3 | 3 | 6 | 3 | — | — | 10 | 2 | 43 |
| 5 | ალენ პროსტი<br>საფრანგეთი | ფერარი | 6 | 3 | — | 2 | — | — | 6 | 4 | — | — | — | 4 | — | 6 | 3 | — | 34 |
| 6 | ნელსონ პიკე<br>ბრაზილია | ბენეტონი | 4 | 2 | — | — | 10 | — | — | 2 | — | — | 4 | 1 | 2 | — | — | 1,5 | 26,5 |
| 7 | ჟან ალეზი<br>საფრანგეთი | ფერარი | — | 1 | — | 4 | — | — | 3 | — | 4 | 2 | — | — | 4 | 3 | — | — | 21 |
| 8 | სტეფანო მოდენა<br>იტალია | ტირელი | 3 | — | — | — | 6 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | — | 10 |
| 9 | ანდრეა დე ჩეზარისი<br>იტალია | ჯორდანი | — | — | — | — | 3 | 3 | 1 | — | 2 | — | — | — | — | — | — | — | 9 |
| 10 | რობერტო მორენო<br>ბრაზილია | ბენეტონი | — | — | — | 3 | — | 2 | — | — | — | — | 3 | — | — | — | — | — | 8 |



# კიმონო არ მოუხდებათ?

9 და 10 ნოემბერს, შოტოკანის სტილის მიმდევარ ქართველ კარატისტებს შესაძლებლობა მიეცემათ საქართველოს დამოუკიდებელი ნაკრების სახელით იასპარეზონ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელსაც შოტოკანის საერთაშორისო ფედერაცია ატარებს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში. ეს ფაქტი გახდა საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ასოციაციის პრეზიდენტთან ზურაბ ლეჟავასთან საუბრის საბაბი.

— შარშანდელი, 1990 წლიდან საქართველო საერთაშორისო ფედერაციის დამოუკიდებელი წევრია — ამბობს ზურაბ ლეჟავა — შარშანვე ჩვენი კარატისტები პირველად გამოვიდნენ საერთაშორისო სარბიელზე, როგორც საქართველოს სუვერენული გუნდი. ეს იყო პერუში, ტრადიციული კარატეს მე-4 მსოფლიო ჩემპიონატზე. მართალია, მედლები ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ, როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, ახალბედებს თავი არ შეურცხვენიათ. მალე სტამბოლში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი „ბოსფორის თასი", სადაც შოტოკანის ყველა საუკეთესო წარმომადგენელმა მოიყარა თავი. და აი, ამ შეჯიბრებაში გია ბაკურაძემ და სულხან სიდამონიძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

— წლევანდელ ასპარეზობაში — განაგრძობს ზურაბ ლეჟავა — საქართველოს ნაკრები პროგრამის ყველა სახეობაში გამოვა — ინდივიდუალურ ჩათვლაშიც, გუნდურშიც, კატას ვარჯიშებშიც. გუნდში 17 სპორტსმენია (გარდა სათადარიგო წევრებისა). მათგან ბევრი ახალგაზრდაა. ტურნირი მათთვის კარგი სკოლა იქნება. შარშან პირველობა ინგლისელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალურ სპარინგებში იაპონიის წარმომადგენლები დაამარცხეს. ამ ქვეყნების კარატისტები ალბათ წლეულსაც ფავორიტები იქნებიან, ჩვენ კი ვეცდებით ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ მათ.

შევნიშნავთ, რომ საქართველო შოტოკანის ევროპის ფედერაციის წევრიც არის. შარშან ამ ფედერაციაში შესვლა სსრ კავშირის ბევრ რესპუბლიკას უნდოდა, მაგრამ მიიღეს მხოლოდ საქართველო, რუსეთი და ესტონეთი, სადაც კარატე განსაკუთრებით პოპულარულია. უკრაინამ, მაგალითად, საქართველოს ასოციაციას ოფიციალურად სთხოვა მის შემადგენლობაში შესვლის ნება დაერთო — ამ გზით სურთ უკრაინის სპორტსმენებს საერთაშორისო სარბიელზე გაიკაფონ გზა.

ცხადია, ქართველი კარატისტების გზა სულ ია—ვარდით არ არის მოფენილი. გადასაჭრელია ბევრი პრობლემა, პირველ ყოვლისა ფინანსური. საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს და თბილისის სპორტკომიტეტის დახმარების გარეშე თურქეთში გამოსვლა ბევრად უფრო გართულდებოდა, მაგრამ ზურაბ ლეჟავა მომავალს ოპტიმისტურად უყურებს, მას სჯერა, რომ კარატეს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ახალგაზრდების სულიერ და ფიზიკურ განვითარებაში.



# ჩემპიონატში ქალები ჩაებნენ

დაიწყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის, რომელიც ოთხ ტურად ჩატარდება. პირველ ტურს 29 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით უმასპინძლა ქუთაისმა. მონაწილეობდნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, „მართვე", რუსთავი და ქუთაისი. მონაწილე გუნდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეროვნული ჩემპიონატი თბილისის პირველობას უფრო ჰგავს, ვინაიდან 6 გუნდიდან 4 დედაქალაქიდანაა, რადგან სხვა რეგიონებმა გუნდები არ წარმოადგინეს.

პირველი ტურის შემდეგ ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ), მომდევნო ადგილებზე არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) და საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. გაგაცნობთ პირველი ტურის ტექნიკურ შედეგებს:

ფიზკულტურის ინსტიტუტი-რუსთავი 84:55 (34:30); სტუ-თსუ 69:61 (39:32); „მართვე"-ქუთაისი 65:76 (43:37); ფიზკულტურის ინსტიტუტი-„მართვე" 86:33 (45:26; სტუ-რუსთავი 70:29 (29:23); თსუ-ქუთაისი 54:43 (29:25); „მართვე"-რუსთავი 47:43 (30:20); თსუ-ფიზკულტურის ინსტიტუტი 75:69 (33:32); სტუ-ქუთაისი 73:53 (36:30); თსუ-რუსთავი 52:35 (25:17); სტუ-„მართვე" 64:42 (26:17); ფიზკულტურის ინსტიტუტი-ქუთაისი 71:69 (35:22); თსუ-„მართვე" 72:38 (26:24); ფიზკულტურის ინსტიტუტი-სტუ 44:64 (14:41)

შემდეგი ტური გაიმართება თბილისში ვერის პარკში. პირველი შეხვედრები შედგება 17 ნოემბერს. ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ელიან გულშემატკივრებს.

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| 1.სტუ | 5 | 5 | 0 | 10 |
| 2.თსუ | 5 | 4 | 1 | 9 |
| 3.ფიზ.ინსტ. | 5 | 3 | 2 | 8 |
| 4.ქუთაისი | 5 | 2 | 3 | 7 |
| 5.„მართვე" | 5 | 1 | 4 | 6 |
| 6.რუსთავი | 5 | 0 | 5 | 5 |

გვანცა ომიაძე

# სტარტზე არიან დეპუტატები

„როგორც წესი, ჩვენ თქვენს დაკრულზე ვცეკვავთ, ახლა კი კეთილს ინებებთ და ათი წუთი თქვენ იცეკვებთ ჩემს დაკრულზე" — ასეთი სიტყვებით დაიწყო საწარმოო ტანვარჯიშის პირველი გაკვეთილი გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატებისათვის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ცურვაში მიხაელ გროსმა. წარსულში ბრწყინვალე სპორტსმენი მიწვეულია ფიზაღზრდის მასწავლებლის თანამდებობაზე სპორტულ საზოგადოება „გერმანიის ბუნდესტაგში". მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს აღნიშნული საზოგადოება დაარსებიდან ორმოც წლისთავს ზეიმობდა, ახალმა მწვრთნელმა ლმობიერება არ გამოიჩინა და თავის „მოსწავლეებს" რეინის ნაპირზე ტყავი გააძრო. დატვირთვა ისეთი დიდი გამოდგა, რომ ვარჯიშის დაწყებიდან ხუთი წუთის შემდეგ მრავალი მოვარჯიშე დაღლილობისგან ბალახზე მიესვენა.

თუმცა პოლიტიკოსთაგან ზოგმა დაამტკიცა, რომ მხოლოდ მჭერმეტყველებაში არ არის ძლიერი. მაგალითად, იუსტიციის მინისტრმა კლაუს კინკელმა 2500 მეტრი დამაჯერებლად გაირბინა. ბუნდესტაგის ვიცე-პრეზიდენტმა რენატე შმიდტმა კი საუკეთესოდ შეასრულა ტანვარჯიშის ილეთები.

სპორტსაზოგადოება „გერმანიის ბუნდესტაგი" დაახლოებით 900 კაცს აერთიანებს. კანცლერი ჰელმუტ კოლიც მისი წევრია. ამბობენ, რომ იგი ახალგაზრდობაში არცთუ ურიგოდ თამაშობდა ფეხბურთს. ეს თამაში სპორტსაზოგადოებაში დღესაც ყველაზე მასობრივია. საერთოდ კი მასში სპორტის 28 სახეობის სექცია მოქმედებს. პროგრამიდან დიდი ხანია რაც კრივი ამოიღეს, რადგან, დეპუტატთა აზრით, საკუთარი ძალა სიტყვით უნდა დაამტკიცო და არა მუშტით.

გაზეთ „სარბიელის" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კოლექტიური სარგებლობის საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრის მთავარი ინჟინერი

თორნიკე მგელაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„სარბიელის" სპონსორია ასოციაცია „ფალავანი"

PALAVANI • ПАЛАВАНИ
ფალავანი

ოდის არასკეობით

სარბიელი

ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380096, კოსტავას ქ. №14
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლითი ცენტრში. ტელეფონი 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია